

•
უფლის ანგელოზები და წმინდა მსახურება

8 ნოემბერი 2020 წელი

დღესასწაულის გამო - მთავარ ანგელოზთა, ანგელოზთა, ქერუბიმთა, სერაფიმთა და ყველა უსხეულო ზეციურ ძალთა, - მოდით ვნახოთ, თუ როგორაა ჩვენი ცხოვრება და ეკლესიაში ღვთის მსახურება დაკავშირებული წმინდა ანგელოზებთან.

საეკლესიო გალობა გვამცნობს: „ჯვართა შენითა, ქრისტე, ერთ რიგად დადგნენ ანგელოზები და ადამიანები, და ერთიანობით ზეცა და დედამიწა ზეიმობენ" (ხმა 1 თომას კვირის შემდეგი პარასკევი). თავისი მსხვერპლით ჯვარზე, თავისი სიყვარულით უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ გაგვავრთიანა ჩვენ წმინდა ანგელოზებთან. ჩვენ ქრისტეს ერთიანი სულიერი სამწყსო გავხდით (რომელიც მისი ეკლესიაა), შემადგენელი ადამიანებისა და ანგელოზებისაგან. ამიტომ წმინდა ანგელოზები ბუნებრივი სახით აგრეთვე მონაწილეობენ ჩვენი ეკლესიის ღვთის მსახურებაში. ანგელოზები უწყვეტად ადიდებენ ღმერთს ზეცაზე; ისინი ყველა საკურთხეველთან ჩნდებიან, თავად იესო ქრისტეს თანდასწრებით, იქ, სადაც სრულდება საღვრთო ექვარისტიის საიდუმლება.

საღვრთო ლიტურგიის მცირე გამოსვლის დროს, მღვდელი, რომელსაც წმინდა სახარება უჭირავს, შედის წმინდა საკურთხეველში, ანგელოზთა თანხლებით, და ისინი ერთად ადიდებენ, ყოვლადმოწყალე ღმერთს. ვინაიდან ანგელოზები სულიერი არსებები არიან, ამიტომ ფიზიკურად, ხორციელი თვალსაზრისით, ჩვენ ვერ ვხედავთ, თუ როგორ ჩნდებიან და დგებიან საკურთხეველის გარშემო, რათა ემსახურონ მოძღვარს თუმცა იყო შემთხვევები, როცა ზოგიერთი მოძღვრები და ეპისკოპოსები ამტკიცებდნენ, რომ დაინახეს საკურთხეველთან ანგელოზები და იმსახურეს მათთან ერთად მათ შორისაა: წმ. სპირიდონი, წმ. ნიფონი, ეპისკოპოსი კონსტანცი (მე-4-ე საუკუნე), ღირსი სერაფიმე საროველი (მე-18-ე საუკ.), ხოლო ჩვენს დროში წმ. იაკობი (ტსალკისი) და სხვები.

საღვრთო ლიტურგია აგრეთვე რთავს ანგელოზთა გალობებს, რომლებიც მოხსენებულია ბიბლიაში ან წმინდა წინასწარმეტყველებაში. მაგალითად, წმ. იოანეს ესმოდა, თუ როგორ გალობდნენ ზეცაში ანგელოზები „ალილუია", რაც ნიშნავს „დიდება ღმერთს" (გამოც. 19:1). წინასწარმეტყველ ისაიას ესმოდა, თუ როგორ გალობდნენ სერაფიმები ღმერთის დიდებული საკურთხეველის გარშემო „წმინდაო, წმინდაო, წმინდაო, უფალი საბაოთ! სავსე არიან, ცანი და ქვეყანა დიდებათა შენითა!" (ის.6:3). ამათან ერთად ისმის გალობა რომელსაც

გალობდნენ ბავშვები უფალის იერუსალიმში საზეიმოდ შესვლისად:
„ოსანა მაღალთა შინა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა“
(ეს გალობა იგალობება საღვრთო ლიტურდიაზე ევქარისტული კანონის დროს). კარგადაა ცნობილი გალობა, რომელიც ანგელოზმა მიუძღვნა კონსტანტინეპოლელ პატრიარქ წმ. პროკოლის (434-446), და რომელიც იგალობება ყოველ საღვრთო ლიტურდიაზე (ხშირად სხვა მსახურებებზეც, მაგალითად დასაწყისის ლოცვებშიც): „წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძლიერო, წმინდაო უკვდავო, შემიწყალენ ჩვენ.“ ჩვენ ვიცით ის როგორც სამწმინდა გალობა და ის მიძღვნილია სამ ჰიპოსტასთან წმინდა სამებისა. ამ ანგელოზთა გალობებს, რომელიც საღვრთო ლიტურდიისა და სხვა მსახურებების ნაწილს წარმოადგენს, მოდით დაუმატოთ ბეთლემის ანგელოზთა გალობა, სადაც უფლის შორის ღამეს გალობდნენ: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა და კაცთა შორის სათნოება!“ (ლოკ. 2:14).

ამგვარად, საღვრთო ლიტურდიის დროს ჩვენი ხმა უერთდება ურიცხვ ანგელოზთა ხმას, მაღიძვებელს სამწმინდა ღმერთისა. ჩვენ ყველა ვდღესასწაულობთ წმინდა ანგელოზთან ერთად! ეს ყოველგვარი ეჭვის გარეშე უძლიერესი მომენტებია, რომელსაც ჩვენ, მართმადიდებლები, სულიერად განვიცდით საღვრთო ლიტურდიის დროს. ამაზე ნათლად მიუთითებს ევქარისტული კანონი, როდესაც გუნდი გალობს ანგელოზთა გალობას: „წმინდაო, წმინდაო, წმინდაო, უფალო საბაოთ!“ და ეპისკოპოსი (ან მოძღვარი) აგრძელებს ლოცვას: „С этими блаженными силами и ми, владыка человеко любецъ зываем и говорим: свят ты и пресвят: ты, и едиnorodный твой сын, и Дух твой святой...“ რა სასწაული ხდება ამ დროს! ამ დროს ჩვენ ერთნი ვართ ღვთის ანგელოზთან, ვადიდებთ ღმერთს და ღვთის ხალხი უთანაბრდება ზეციურ სულიერ ძალებს. წმინდა ანგელოზებთან ერთად, შეკრებილთ ჩვენი ტაძრების საკურთხეველთან, ჩვენ ერთად მოვიდრეკთ მუხლს, რათა შევწიროთ უსისხლო მსხვერპლი.

წმინდა ეკლესიაში განვიცდით რა საოცარ განცდას, ჩვენ ვღალატობთ: „ვიმყოფებით რა შენი დიდების ტაძარში, გვწამს ზეციური მეუფეობა...“, და ამგვარად, ქერუბიმთა გალობა გვამზადებს ჩვენ მივბაძოთ ანგელოზებს მოწიწებით ვერებაში, რომელსაც თავად წარმოადგენენ უფლის წინაშე: „Всякое ныне житоеское отложим попечение, яко да Царя всех подыдем, ангельскими невидимо дориносима чинми.“

ჩემო ძმებო და დებო! ანგელოზებთან ერთად რომ შეგვეძლოს ერთიანი ლოცვის სასწაულის აღქმა და დაუშვათ რომ ის ჩვენ სულებს შეეხოს, ჩვენ სულიერად უნდა მოვემზადოთ ამისთვის, უნდა გვქონდეს ჭეშმარიტი რწმენა, მხურვალე სიყვარული ქრისტესადმი, სუფთა გული და განცდა იმისა, თუ რა ხდება საღვრთო ლიტურდიის დროს აი

რატომაა, რომ დიაკვანი (ან მოძღვარი) ყველაზე მნიშვნელოვან დროს მოგვმართავს ჩვენ სიტყვით: „სიბრძნით“; „Станем благоговейно“; „Премудростю вонмем“; „Станем со стахом, будем внимать“.

დაე წმინდა ანგელოზების ყოფნა საღვრთო ლიტურდიაზე და უფლის წინაშე მოწიწება ოყოს ჩვენთვის სულისჩამდგმელი მაგალითი, რომ ჩვენ მთელი სულით ვმონაწილეობდეთ ლიტურდიაში. ასე ჩვენ შევძლებთ ღრმა მადლიერებით, გულითადი სიყვარულით და ჭეშმარიტი ერთგულებით ადვსულოთ ჩვენი ლოცვა უფალს და უფლის მსახურებს-წმინდა ანგელოზებს. ამინ.
